

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება № 80

2011 წლის 1 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში შესული საჩივრის ფორმის ნიმუშის დამტკიცების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში შესული საჩივრის ფორმის ნიმუში დანართის შესაბამისად.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.

ზ. ადგიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №80 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

დანართი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში შესული

საჩივრის ფორმა

1. საჩივრის შემტანის ვინაობა, -----

----- (გვარი, სახელი, მისამართი, პირადი ნომერი/იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები)

2. ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია-----

3. სააღსრულებო წარმოების საქმის რეკვიზიტები----- (სააღსრულებო საქმის ნომერი, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, სააღსრულებო წარმოების მხარეები)

4. აღმასრულებლის ვინაობა, რომლის მოქმედებაც საჩივრდება-----

5. გასაჩივრებული მოქმედების შინაარსი -----

6. საჩივრის შემტანის მოთხოვნა, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

(მოთხოვნის მოცულობა, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები , რომელსაც ემყარება მოთხოვნა)

7. საჩივარზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი (თუ საჩივარს თან ერთვის რაიმე დოკუმენტი)



8. საჩივრის შეტანის თარიღი -----

9. საჩივრის შემტანის/ წარმომადგენლის ხელმოწერა -----

შენიშვნა:

1. საჩივარს უნდა დაერთოს მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. საჩივარი არ მიიღება, თუ იგი არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით (როგორც წესი, ნაბეჭდი ფორმით) და არ აკმაყოფილებს ამ ფორმის პირველი, მე-2, მე-8 და მე-9 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. საჩივარი არ განიხილება, თუ:

ა) იგი არ აკმაყოფილებს ამ ფორმის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

დ) არსებობს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება ამავე საკითხზე;

ე) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ვ) (ამოღებულია - 17.05.12 №80).

ზ) გასულია საჩივრის შეტანის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადა.

[საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №80 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.](#)

